

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში**

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი)	თინათინ ხანჯალიაშვილი
თანამდებობის დასახელება	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“
ფრაქციის დასახელება	
კომისიის დასახელება	ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისია, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისია
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)	პროპორციული

საანგარიშო პერიოდი	2021 წლის 3 დეკემბრიდან დან 2022 წლის 31 ოქტომბრამდე.
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე)	რიგითი

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა
 1. 1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა **14**
საკრებულოს სხდომებზე დასწრება **14**
 - 1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების კომისიის სხდომებზე დასწრება მ/შ დროებით სამუშაო ჯგუფებში და კომისიების საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 10 სხდომა, დავესწარივე 10-ს;
როგორც სამანდატო, საპროცედურო და იურიდიული კომისიის წევრი, 9 სხდომიდან დასწრებული ვარ 7 სხდომას.
 - 1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 5
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 4

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

- თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლები და კატები) მოვლა-პატრონობის და მათი მართვის წესის დამტკიცების შესახებ, რომელიც მაღაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან და გადაგზავნილია მერთან აღსრულების მიზნით
ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა --✓-- დადგენილება ----- განკარგულება

**1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები -----
საზოგადოებრივი ტრანსპორტის ტარიფების შემორებისა და მგზავრთა გადაყვანის
რეგულირების წესი თელავის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ადგილობრივ ბიუჯეტში
წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოებისთვის ფულადი სახსრების გამოყოფა, მერიის მიერ
ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამები, საპილოტე
რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფარგლებში პროექტები თელავის
მუნიციპალიტეტში და სხვ.**

**1.6. ის საკითხები, რომელსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა -----ქ.
თელავის ცენტრალურ ქუჩაზე სიჩქარის შემზღვდავი ბარიერების მოწყობის მიზნით საბიუჯეტო
ცვლილება**

**1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა -4-
და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა --35---**

**1.8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული მირითადი საკითხები -----
მცირე მეწარმე ქალთა მხარდაჭერა, მუდმივმოქმედი საგამოფენო სივრცის მოწყობა
მეწარმეებსითვის, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, ქალების და ახალგაზრდების დასაქმების
ხელშეწყობა, ახალგაზრდების და ზრდასრულთა არაფორმალური განათლების და უნარების
გაძლიერების ხელშეწყობა**

**1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები
(მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ გაკეთებული წერილობითი სარეკომენდაციო სახის
წინადადებები (6 რეკომენდაცია) –

1. რეკომენდაცია შპს „საფეხბურთო კლუბი თელავი“-სთვის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული უმრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით
სარგებლობის უფლებით, უპირობო უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის
შესახებ
2. რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და თელავის
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო
დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ
3. რეკომენდაცია ქ. თელავის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული „საქ. პრესის“
ამორტიზებული ჯიხურების დემონტაჟი
4. რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური
საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავების შესახებ
5. რეკომენდაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საპრივატიზაციო
ნუსხაში რიცხული უმრავი ქონების პრივატიზების შესახებ

6. რეკომენდაცია მოქალაქეთა კოლექტიურ განცხადებაზე ქ. თელავში ნიკო მუსხელიშვილის ქუჩის მიმდებარე მწვანე ზონაში სარეკორდი სივრცის მოწყობაზე

2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- ვარ გენდერული საბჭოს წევრი და გენდერული საბჭოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას მომზადებულია 12 რეკომენდაცია და აქედან, 3 ქვეპროგრამის ფორმით 2023 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად, მოთხოვნილია 2022 წლის მიმდინარე სოციალური პროგრამების გენდერული ანალიზი;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილების განხორციელებისას დაყენებულია 1 საკანონმდებლო წინადადება;
- ფრაქციის წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას მომზადებულია 4 ქვეპროგრამა 2023 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად;
- 2022 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში დასწრებული ვარ 7 შეხვედრას ონლაინ რეჟიმში, 7 ტრენინგს ინტერაქციულ ფორმატში, 1 საინფორმაციო შეხვედრას ნატოსა და ევროკავშირთან ინტეგრაციის თემაზე, მონაწილეობა მივიღე 9 სამუშაო შეხვედრაში.
- ვარ ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე და ამ უფლებამოსილების განხორციელებისას „თელავის მუნიციპალიტეტის ქალ მეწარმეთა ეკონომიკური ფორუმის“ ორგანიზება (32 დამსწრე, წარმომადგენლები სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორიდან), საინფორმაციო და სკრინიგ კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“;
- თელავის მუნიციპალიტეტის მშობლების და პედაგოგებისთვის საინფორმაციო შეხვედრა „ბავშვი, სკოლა და მშობელი“ შალვა და პაატა ამონაშვილებთან;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სხვა წევრებთან ერთად მომზადებული მაქვს რეკომენდაციები უპოვართა სასადილოში ბენეფიციართა მომსხურების გაუმჯობესების თემაზე;
- მომზადებული მაქვს „თვითმმართველობის ინდექსის“ 2021 წლის ანალიზი და რეკომენდაციები თელავის მუნიციპალიტეტისთვის
- გაკეთებული მაქვს მოსახლეობის აზრის გამოკითხვა ონლაინ რეჟიმში თემებზე მოსახლეობის აზრის გამოკითხვა მიუსაფარი ძალლების პრობლემის შესახებ და ქალ მეწარმეთა საჭიროებების შესახებ.
- მონაწილეობა მივიღე პარლამენტის მიერ ინიცირებულ 2 თემატურ მოკვლევაში - „ქალებისა და გოგოებისათვის ინფრასტრუქტურის (გზა, ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ და ქალების წვდომა ფინანსურ რესურსებზე.“

3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

სოფ. კისისხევისთვის ეკომუზეუმის სტატუსის მინიჭების შესახებ ინიციატივის მომზადება, 2023 წლის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი გეგმის მომზადებაში მონაწილეობა.

შევსების თარიღი **28.10.2022**
წარდგენის თარიღი **31.10.2022**

ხელმოწერა **ო.ხვ.8**